ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №19

2015 წლის 20 მარტი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე გამარტივებული წესით შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“ქვეპუნქტის, „გამარტივებულიშესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 25 თებერვლის №01-14/323 მომართვის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს გარდამავალ მშენებარე ობიექტებზე ზედამხედველობის მიზნით ტექნიკურ ზედამხედველებზე გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

2. ანგარიში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გარდამავალ მშენებარე ობიექტებზე ზედამხედველობის მიზნით ტექნიკურ ზედამხედველებზე გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულებების გაფორმებაზე შესყიდვის მიზნით განხორციელებული პროცედურების შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულმა სამსახურმა შესყიდვის განხორციელების შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განხორციელებული შესყიდვის შესახებ.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.ლაზიშვილი).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში(მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილისქ.№30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

დანართი

№	ღონისძიების დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	ტენიკური ზედამხედველის თანხა	ტენიკური ზედამხედველი
1	ქ. ქობულეთში სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობის სამუშაოები	შპს,,უნივერსალი"	500	გენადი ბაჯელიძე
2	ქაქუთის საბავშვო ბაღის გარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობისა და ჩოლოქის ამბულატორიის შენობაში წყლისა და კანალიზაციის სისტემის მოწყობის სამუშაოები	შპს ,,იმეკს"	200	გივი შავიშვილი
3	სოფელ ალამბრის საბავშვო ბაღის, სოფელ ციხისძირის საბავშო ბაღისა და ბობოყვათის თემში ამბულატორიის შენობის სარემონტო სამუშაოები	შპს,,მშენებელი"	135	თემური ნოღაიდელი
4	დაბა ჩაქვში აღმაშენებლის ქუჩა #28-ში საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოები	შპს,,მტმ"	2 340	გივი შავიშვილი
5	სოფელ ხუცუბანში საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოები	შპს,,ინტელექტი"	2 340	თამაზ მოწყობილი, ზვიად რომანაძე
6	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა და წყალსარინი ღარების მოწყობის სამუშაოები	შპს ,,უნივერსალი" N177	245	თამაზ მოწყობილი
7	ქ.ქობულეთში ჭავჭავაძის, ჭავჭავაძის პირველი შესახვევის, მე-2 შესახვევის, ლესელიძის შესახვევის, ნინოშვილის და გურამიშვილის ქუჩების ჩამდინარე წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები	შპს,,მეოხი"	2 949	მურმან ცეცხლაძე, ზვიად რომანაძე
8	ხუცუბნის რაგბის სტადიონზე ორი ცალი მოსაცდელის კონსტრუქციის მოწყობა	შპს,,დეგო"	0	
9	ხუცუბანში არსებული რაგბის სტადიონის რეაბილიტაცია	შპს,,ჭედა2012"	585	გენადი ბაჯელიძე